ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა

ქ. ამბროლაური 30 ივლისი 2012წ.

შ.პ.ს. „მაგთიკომი“ წარმოდგენილი მისი ———მაია ——ვაჩაძის——— სახით, შემდგომში -- *გამყიდველი*, ,ხელმძღვანელზ დვიდ ღს 2012წ3.01.მინდაბილზის საფუძველზე და

ეროვნ. საკუთრ. თვალთვალ. ,,ალვა ნაჯაბ,, წარმოდგენილი მისი [illegible] სახით, შემდგომში – *მყიდველი*, მეორეს მხრივ ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 წინამდებარე ხელშეკრულებით გამყიდველი ყიდის, ხოლო მყიდველი ყიდულობს შემდეგ Dual Band Modem (HSPA+/CDMA) აპარატს.

1.2 1 ცალი Dual Band Modem (HSPA+/CDMA) აპარატის ფასი შეადგენს 65(სამოცდახუთი) ლარს, დღგ-ს ჩათვლით.

1.3 Dual Band Modem (HSPA+/CDMA) აპარატის 1 თვის (30 დღე) მომსახურების ფასი შეადგენს 45 (ორმოცდახუთი) ლარი.

2 მხარეთა უფლება-მოვალეობანი

2.1 *მყიდველი* ვალდებულია:

2.1.1 გადაიხადოს საქონლის ღირებულება 1 მუხლში (ხელშეკრულების საგანი) მითითებული პირობების შესაბამისად;

2.1.2 დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა;

2.2 *გამყიდველი* ვალდებულია:

2.2.1 მყიდველის მიერ ხელშეკრულების ღირებულების გადახდის შემდეგ საკუთრებაში გადასცეს მას 1.1 პუნქტით გათვალისწინებული აპარატი.

2.2.2 ყოველთვიური მომსახურების საფასურის გადახდის შემდეგ გაუწიოს შემსყიდველს მომსახურება

2.2.3 დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა

3 ფასი და ანგარიშსწორება

3.1 ანგარიშსწორება წარმოებს ნაღდი ან უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით;

4 ხელშეკრულების მოქმედების ვადა

4.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ თავიანთი ვალდებულებების სრულ შესრულებამდე.

5 მხარეთა პასუხისმგებლობა

5.1 წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობაზე ან არაჯეროვნად შესრულებაზე მხარეები პასუხს აგებენ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

6 საგარანტიო პირობები

6.1 გამყიდველი უზრუნველყოფს საქონლის გამოცვლას ხელშეკრულების გაფორმებადან 1 თვის ვადის განმავლობაში, თუ არაადეკვატური ფუნქციონირება გამოწვეულია ქარხნული დეფექტით.

ქარხნული დეფექტის პირობა არ გულისხმობს იმ შემთხვევებს, როდესაც საქონელი გარეგნულად არის დაზიანებული.

6.2 გარანტია არ ვრცელდება იმ შემთხვევებზეც, როდესაც საქონლის არაადეკვატური ფუნქციონირების მიზეზებია: მექანიკური დაზიანება, წყლის ან აგრესიული სითხეების ზემოქმედება, საქონლის არასწორი ექსპლოატაცია და მოპყრობა ან მყიდველის ან მესამე პირთა დაუდევრობით გამოწვეული სხვა დაზიანებები.

7 ფორს-მაჟორი

7.1 მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისგან ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობის შემთხვევაში (როგორიცაა სტიქიური უბედურება, მიწისძვრა, სამხედრო მოქმედებები და დაუძლეველი ძალის მქონე მხარეთაგან დამოუკიდებელი სხვა გარემოებები), რომლებიც მთლიანად შეუძლებელს ხდიან ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას.

7.2 მხარეები ვალდებულნი არიან დაუყოვნებლივ აცნობონ ერთმანეთს ასეთი გარემოებების არსებობის შესახებ.

8 სადავო საკითხების გადაწყვეტა

8.1 წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე სადავო საკითხები წყდება მოლაპარაკების გზით, ხოლო შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავა წყდება სასამართლოში, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9 დასკვნითი დებულებები

9.1 წინამდებარე ხელშეკრულება სრულიად ადასტურებს მხარეთა კონსენსუსს და არანაირი ზეპირი ცვლილება ან დამატება არ განიხილება, როგორც ამ ხელშეკრულების შემადგენელი ნაწილი;

9.2 ხელშეკრულებაში შესაძლებელია შეტანილი იქნას ცვლილებები, რომელიც გაფორმებული უნდა იყოს წერილობითი ფორმით და დამოწმებული ორივე მხარის მიერ.

9.3 ხელშეკრულება შედგენილია ორ პირად, ერთი პირი გადაეცემა გამყიდველს და ერთი პირი მყიდველს. ორივე პირს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა.

გამყიდველი:	მყიდველი:
იურიდიული მისამართი	**იურიდიული მისამართი**
ქ. თბილისი, ანა პოლიტკოვსკაიას ქ. №5	_____
საბანკო რეკვიზიტები:	**საბანკო რეკვიზიტები:**
ს.ს. "ვითიბი ბანკი"	ს.ს. _____
ცენტრალური ფილიალი	ფილიალი
ა/ა GE73VT6600000000423607;	
კოდი: UGEBGE22	ა/ა _____; კოდი: _____
საიდენტ. კოდი: 204876606	საიდენტ. კოდი:
	საკონტაქტო ტელ.: _____
ოფისის მენეჯერი	
_____	_____
(მაია ქაჩაძე)	( )